ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საბაკალავრო პროგრამა: მსოფლიოს სოციალურ-ეკონომიკური და ტურიზმის გეოგრაფია

ნინო მიქაძე

ესპანეთის საზოგადოებრივ-გეოგრაფიული დახასიათება

ნაშრომი შესრულებულია მსოფლიოს სოციალურ-ეკონომიკური და ტურიზმის გეოგრაფის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ვალერიან მელიქიძე

გეოგრაფიის დოქტორი, პროფესორი

თბილისი

2023

ანოტაცია

ნაშრომში წარმოდგენილია ესპანეთის საზოგადოებრივ-გეოგრაფიული მიმოხილვა, რომელიც გულისხმობს ესპანეთის ფიზიკური გეოგრაფიის მიმოხილვას, მდებარეობას, მის მეზობელ ქვეყნებს, ასევე მის ტერიტორიის საზღვრებს, ბუნებრივ რესურსებს და პოტენციალს ბუნებრივი რესურსების თვალსაზრისით. ასევე ნაშრომში განხილულია ქვეყნის ფორმირების ისტორია, მოსახლეობა 1950 წლიდან დღემდე, ეკონომიკის ისტორიული მიმოხილვა და დღევანდელი სიტუაცია. წარმოდგენილია მეურნეობის სექტორული ანალიზი და ქვეყნის ადგილი მსოფლიოში, ქვეყნის მონაწილეობა ორგანიზაციებში და თანამშრომლობა სხვა ქვეყნებთან. ნაშრომში გამოყენებული მონაცემები წარმოდგენილია დინამიკაში 1950 წლიდან დღემდე, მოცემულია ვიზუალური მასალაც, რის შედეგადაც ინფორმაცია მკითხველისათვის მეტად გასაგები გახდება. ნაშრომში ესპანეთი განხილულია არა მარტო, როგორც ცალკე აღებული ქვეყანა, არამედ როგორც მონაწილე გლობალური ეკონომიკური ურთიერობების, არამარტო ევროპაში არამედ მთელ მსოფლიოში. იმედია, ნაშრომი მკითხველისათვის მარტივად გასაგები, საინტერესო და ინფორმაციული იქნება, რის შედეგადაც გაეცნობა ესპანეთის საზოგადოებრივ გეოგრაფიას.

სარჩევი

შესავალი ---------- გვ.5

თავი I. ქვეყნის ორგანიზაცია და მართვა ---------- გვ.7

1.1 ქვეყნის ფორმირების ისტორია ---------- გვ.7

1.2 ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონე ---------- გვ.9

თავი II. ქვეყნის ბუნებრივი რესურსების და პირობების სამეურნეო შეფასება ---------- გვ.10

თავი III. მოსახლეობა ---------- გვ.13

3.1 მოსახლეობის რაოდენობის დინამიკა, სიმჭიდროვე და ბუნებრივი მოძრაობა ---------- გვ.13

3.2 სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა ---------- გვ.15

3.3 მიგრაცია ---------- გვ.16

3.4 ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა და დასაქმების სტრუქტურა ---------- გვ.17

3.5 ურბანიზაცია, ენა და რელიგია ---------- გვ.18

თავი IV. მეურნეობის ზოგადი მიმოხილვა ---------- გვ.18

4.1 ეკონომიკის განვითარების ისტორიული მიმოხილვა ---------- გვ.18

4.2 მშპ-ს სტრუქტურა ---------- გვ.22

თავი V. მეუნეობის სექტორული ანალიზი ---------- გვ.24

5.1 პირველადი და მეორადი სექტორი ---------- გვ.24

5.2 მესამეული და მეოთხეული სექტორი ---------- გვ.29

თავი VI. ქვეყნის ადგილი გლობალურ სისტემებში და სტრუქტურებში ---------- გვ.32

დასკვნა ---------- გვ.34
დანართი ---------- გვ.36
გამოყენებული ლიტერატურა ---------- გვ.42

შესავალი

ესპანეთი მდებარეობს სამხრეთ-დასავლეთ ევროპაში და მოიცავს პირენეს ნახევარკუნძულის 82%-ს. მისი საერთო ფართობია 504 782 კმ^2. ფართობიდან წყალს უკავია 5 240კმ^2. ესპანეთი ევროპაში მეოთხე ადგილზეა რუსეთის, უკრაინისა და საფრანგეთის შემდეგ. ქვეყნის საშუალო სიმაღლე 650მ-ია. მოქცეულია 27^0 და 44^0 ჩრდილო განედებსა და დას. 19^0 და აღმ. 5^0 გრძედებს შორის (Tapiador,2020, chap.3).

ესპანეთს სამხრეთიდან და აღმოსავლეთიდან ესაზღვრება ხმელთაშუა ზღვა. სამხრეთით ესაზღვრება გიბრალტარი (საზღვრის სიგრძე 1.2კმ.), დიდი ბრიტანეთის ტერიტორია. დასავლეთიდან აკრავს ატლანტის ოკეანე და ესაზღვრება პორტუგალია (1 214კმ.), რაც შეეხება ჩრდილოეთ მხარეს, ესაზღვრება ანდორა (63.7 კმ), საფრანგეთი (623კმ) და ბისკაის ყურე (სურათი #1). ესპანეთს აქვს ასევე პატარა ექსკლავი საფრანგეთის შიგნით, რომლის სახელწოდებაცაა ლლივია (Llivia), რომელიც კატალონიის ისტორიული ტერიტორიის ნაწილია. ასევე, კანარის კ-ები (ატლანტის ოკეანე), ბალეარის კ-ები (ხმელთაშუა ზღვა) და 5 სუვერენული ტერიტორია: მელილია, სეუტა, პენიონ დე ალჰუსემასი, ჩაფარინასის კუნძულები და პენიონ დე ველეს დე ლა გომერა (Tapiador,2020, chap.3).

პირენეს ნახევარკუნძული წარმოადგენს ბუნებრივ ხიდს ევროპასა და აფრიკას შორის. ის ასევე არის ხიდი ხმელთაშუა ზღვასა და ატლანტის ოკეანეს შორის. ესპანეთი თავისი მდებარეობით ფაქტიურად წარმოადგენს კარიბჭეს. მისი მდებარეობა სტრატეგიულია და ხელსაყრელია ადგილობრივი მოსახლეობისათვის, სხვა ხალხებთან ურთიერთობის შენარჩუნებისათვის. ქვეყანას აქვს დაახლოებით 4000 კმ სანაპირო ზოლი (კუნძულის ტერიტორიების გამოკლებით). ისტორიული თვალსაზრისითაც ესპანეთმა და პორტუგალიამ თავიანთი მდებარეობის წყალობით, ლიდერობა გამოიჩინეს დასავლეთ აფრიკისა და ამერიკის აღოჩენასა და დაპყრობაში (Carreras & Tafunell, 2021, p.3).

სურათი #1

ესპანეთის რუკა

წყარო: https://maps-spain.com/

თავი I

ქვეყნის ორგანიზაცია და მართვა

1.1 ქვეყნის ფორმირების ისტორია

ესპანეთი მდებარეობს პირენეს ნახევარკუნძულზე, რომლის უძველესი მოსახლეობა არის იბერები და კელტური ტომები. თავდაპირველად ამ ტერიტორიაზე იბერები ცხოვრობდა. კელტური ტომები ესპანეთის ტერიტორიაზე ძვ.წ. I ს-ში შემოდიან, რის გამოც ჩნდება დაპირისპირება ადგილობრივ იბერულ ტომებსა და კელტებს შორის. ასევე, ამ ტერიტორიაზე წარმოდგენილი იყო სხვა ტომებიც, როგორებიცაა: ტარტესიების შთამომავალი ხალხები, ლუზიტანები და ვეტონები. ყველა ტომი ერთმანეთისაგან იზოლირებულად ცხოვრობდა, მხოლოდ ომისა და ვაჭრობის დროს ხდებოდა მათ შორის კავშირი (Tapiador,2020, pp.257-257).

მოგვიანებით ძვ. წ. XII – IXსს-ში იწყება ამ ტერიტორიაზე ფინიკური კოლონიზაციის ორი ტალღა. ძვ. წ. 814 წელს ფინიკიელებმა დაარსეს ჩრდ. აფრიკაში კართაგენის კოლონია, რის შედეგადაც ახალი დასახლებები გაჩნდა ესპანეთშიც. მათი ძირითადი ინტერესი ლითონის საბადოები და ვაჭრობა იყო. ფინიკიელების კონკურენტი იყვნენ ბერძნები. ბერძნები პირველად ესპანეთის ტერიტორიაზე 630 წელს გამოჩნდა, რასაც მოგვიანებით მოჰყვა ექსპანსიაც. ბერძნები ესპანეთს ,,ჰესპერიას“ (იბერიას) უწოდებდნენ (Tapiador,2020, pp.259-260).

ბერძნების მიერ ფინიკური კოლონიების დაპყრობის შედეგად წარმოიშვა დაპირისპირება კართაგენსა და რომს შორის, რომელიც პირველი პუნიკური ომის სახელითაა ცნობილი, რომელიც ძვ.წ. 242 წ. დასრულდა, რომის გამარჯვებით. კართაგენის მხარეს იბრძოდა ესპანური ტომები. ძვ. წ. 206 წელს რომაელებმა განდევნეს ესპანეთიდან კართაგენელები. რის შედეგადაც პირენეს ნ-კ-ს უმეტესი ნაწილი V საუკუნის ბოლოსთვის ფორმალურად რომის იმპერიის დაქვემდებარებაში იყო. VIII-ს დან ამ ტერიტორიას არაბები ეუფლება. XI ს-დან კი ესპანეთი სამეფო ბრძოლას იწყებს არაბების წინააღმდეგ. XV-ს-დან დაიწყო მუსულმანების, ებრაელებისა და პროტესტანტების დევნა (Tapiador,2020, pp.261-262).

1492 წელს ქისტეფორე კოლუმბმა ამერიკა აღმოაჩინა, იგი იტალიელი მკვლევარი და მეზღვაური იყო, რომელიც ესპანეთის მეფეს ემსახურებოდა. XVI საუკუნეში ესპანეთმა

გააფართოვა ტერიტორიები. თუმცა ამავე საუკუნის შუა წლებიდან ეკონომიკა დაცემას განიცდის, თანდათან სუსტდება ქვეყნის ძლიერება. ესპანეთმა ინგლისთან ომის შემდგომ XVI-XVII საუკუნეებში საზღვაო უპირატესობაც დაკარგა. ტერიტორიების დაკარგვის პროცესი XVIII საუკუნეშიც გრძელდება. ამავდროულად, კარლ II-ის (უკანასკნელი ჰაბსბურგი) გარდაცვალების შემდეგ ესპანური მემკვიდრეობისათვის ომი დაიწყო, რომელიც რაშტატისა და უტრეხტის ზავით დასრულდა (Tapiador,2020, pp.264-265).

1812 წელს ხელი მოეწერა ესპანეთის პირველ კონსტიტუციას. ესპანეთი ნაპოლეონის ჯარებისაგან გათავისუფლდა, თუმცა, ამავდროულად, დაკარგა კოლონიები ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკაში. ესპანურმა კოლონიებმა დამოუკიდებლობა გამოაცხადა, დარჩენილი კოლონიები კი 1890-იან წლებში ესპანეთ-ამერიკის ომის შედეგად გადაეცა გერმანიას და აშშ-ს (Tapiador,2020, pp.271-272).

პირველი მსოფლიო ომის დროს ესპანეთმა ნეიტრალიტეტი გამოაცხადა. 1918-1920 წლებში რევოლუციური მოძრაობა დაიწყო, რომელიც იყო ბასკების, კატალონიელებისა და გალისიელების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. 1923 წელს სახელმწიფო გადატრიალება მოხდა. ახალმა მავრობამ კორტესი დაითხოვა, აკრძალა მიტინგები და პოლიტიკური პარტიები. 1930 წელს პრემიერ-მინისტრი, პრიმო დე რივერა გადადგა პოსტიდან და დატოვა ქვეყანა. რის შედეგადაც ქვეყანაში ანტიმონარქიული მოძრაობა დამყარდა. (Tapiador,2020, p.271).

1931 წელს დაემხო მონარქია და ესპანეთი რესპუბლიკად გამოცხადდა. 1936 წ. გენერალი ფრანსისკო ფრანკო აჯანყდა, რის შედეგადაც ესპანეთის სამოქალაქო ომი დაიწყო, რასაც მოჰყვა ესპანეთის მეორე რესპუბლიკის დაცემა და დამყარდა ფრანკოს დიქტატურა. 1975 წელს ფრანკოს გარდაცვალების შემდეგ კონსტიტუცური მონარქია აღდგა და ხუან კარლოს I გახდა მეფე. 1976 წლიდან პოლიტიკური პარტიები ლეგალური გახდა. 1978 წელს ახალი კონსტიტუცია მიიღეს, ხოლო ბასკებმა, კატალონიამ და გალისიამ ავტონომია მოიპოვეს (Tapiador,2020, pp.273-274).

1.2 ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონე

ესპანეთში კონსტიტუციური მონარქიაა. სახელმწიფოს მეთაურია მეფე ფილიპე IV, ხოლო მთავრობის მეთაურია პრემიერ-მინისტრი (2018 წლიდან - პედრო სანჩესი). ქვეყანაში საკანონმდებლო ორგანო წარმოდგენილია კონგრესისა და სენატისაგან (La Moncloa).

სამეფო 17 ავტონომიურ რეგიონად იყოფა, ასევე მის შემადგენლობაშია ორი ავტონომიური ქალაქი (სეუტა და მელილია) (სურათი #2). ესპანეთის დედაქალაქია მადრიდი.

სურათი #2



წყარო: შესრულებულია ავტორის მიერ

ესპანეთი ინდუსტრიულ-აგრარული ქვეყანაა, სადაც ქვეყნის მოსახლეობის დაახლოებით 2.6% დასაქმებულია სოფლის მეუნეობაში. ისევე, როგორც სხვა განვითარებულ ქვეყნებში, ესპანეთშიც სექტორეს შორის ჭარბობს მომსახურების სფერო,

თუმცა, ამავდროულად, მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სოფლის-მეურნეობას (European Union, 2023).

თავი II

ქვეყნის ბუნებრივი რესურსების და პირობების სამეურნეო შეფასება

ესპანეთს რთული გეოგრაფიული მდებარეობა აქვს, რაც ქვეყნისთვის ხელისშემშლელი ფაქტორია, თუმცა, ამავდროულად, ხელსაყრელი მდებარეობა აქვს გარესამყაროსთან ურთიერთობის პროცესში. ესპანეთი, შვეიცარიის შემდგომ, მეორე ყველაზე მაღალმთიანი ქვეყანაა ევროპაში. ესპანეთის ტერიტორიის 90% მოიცავს მთებსა და ზეგნებს. აღსანიშნავია, მესეტის მთიანეთი, რომელიც ქვეყნის თითქმის ნახევარს მოიცავს. მის ჩრდილოეთით წარმოდგენილია კანტაბრიის მთები, რომელიც პირენეს მთების გაგრძელებაა. ყველაზე მაღალი წერტილი არის ანეტო, რომლის სიმაღლეც დაახლოებით 3404მ-ია. მესეტის ჩრდილო-აღმოსავლეთით კი წარმოდგენილია იბერიის მთები. (Carreras & Tafunell, 2021, pp.3-4). ფაქტიურად, ესპანეთის მთები და ზეგნები წარმოადგენენ უზარმაზარ ბუნებრივ ბარიერს. მაგალითად, პირენეები აშკარად წარმოადგენდა კედელს, რომელმაც ხელი შეუშალა და გაართულა ადამიანებისა და საქონლის გადაადგილება, როგორც პირენეს ნახევარკუნძულზე, ისე დანარჩენ ევროპას შორის.

ესპანეთის რელიეფი რადიკალურად განსხვავდება კონტინენტური ევროპის რელიეფისაგან, რომელიც ხასიათდება ვრცელი ვაკეებით ზღვის დონიდან ახლო სიმაღლეზე. ცხადია ეს ართულებს კომუნიკაციას ტერიტორიებს შორის. ქვეყანა როგორც ვახსენე მთლიანად გარშემორტყმული მთებითა და ქედებით, რომლებიც გრძივად იშლება პერიფერიაზე და სანაპირო დაბლობებისათვის შეზღუდულ ტერიტორიას ტოვებს. მსგავსი გეოგრაფიული განფენილობა საკომუნიკაციო ქსელების განვითარებაზეც აისახება. ფაქტიურად დღეს ქვეყნის საგზაო და სარკინიგზო ქსელები დიდწილად ძველ რომაულ გზებს მიუყვება (Carreras & Tafunell, 2021, p.4).

კლიმატი რელიეფთან ერთად გავლენას ახდენს ნიადაგის სასოფლო-სამეურნეო ექსპლუატაციის შესაძლებლობებზე. ამ ყველაფერს კლიმატის სამი კომპონენტი

ტემპერატურა, მზის ნათების ხარისხი და ნალექები ასრულებს. ამათგან ნალექები, ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია, რადგან სოფლის მეურნეობაში მოსავლიანობა პირდაპირ დამოკიდებულია ნალექების რაოდენობაზე და შემდგომ მის განაწილებაზე ქვეყნის ტერიტორიაზე. ესპანეთში ტენიანი ტერიტორიები მხოლოდ ჩრდილოეთ ვიწრო ზოლშია წარმოდგენილი, რომელიც გადაჭიმულია გალიციიდან ბასკებამდე და არ ვრცელდება სამხრეთით (Carreras & Tafunell, 2021, p.5) ამ ტერიტორიის გარდა ფაქტიურად მთელი ესპანეთის ტერიტორია მშრალი ჰავით ხასიათდება. წვიმის რაოდენობა, რომელიც ამ ტერიტორიებზე მოდის არა მხოლოდ არასაკმარისი, არამედ, არათანაბარიცაა.

რაც შეეხება ტემპერატურას და მზის ნათებას, ესპანეთის ტერიტორიზე ღრუბლიანობა მცირეა, რაც გამოწვეულია პერიფერიული მთის ბარიერებით, რომელიც ხელს უშლის ატლანტის ოკეანიდან შემოსულ ნოტიო და თბილ ჰაერის მასების ხმელეთზე შეღწევას. ამის გამო, ქვეყანაში მზის ნათების მაღალი ხარისხია. ზაფხულში ტემპერატურა ჩვეულებრივ მაღალია, ზამთარში კი დაბალი. საშუალო ტემპერატურა ქვეყნის ტერიტორიაზე დაახლოებით იანვარში +8^{0}C-დან +12^{0}C-მდე, ივლისში კი შეადგენს +18^{0}C-+28^{0}C-ს (Tapiador, 2020, chap.8).

მართალია, მზის ნათების ხანგრძლივობა მნიშვნელოვან უპირატესობას წარმოადგენს ტურისტული აქტივობებისათვის, თუმცა, ამავდროულად, სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს სოფლის-მეურნეობისათვის. ესპანეთის ტერიტორიის დიდი ნაწილში ტენიანი მიწის დეფიციტია, რომელიც რამდენიმე თვე გრძელდება. ქვეყნის მიწების დაახლოებით 60% არის არიდული. ეს დეფიცი წარმოიქმნება აორთქლების შედეგად გამოწვეული ნალექების დონისა და წყლის დანაკარგების ერთობლიობიდან. ესპანეთი ამ თვალსაზრისით ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნებს შორის ყველაზე უფრო მძიმე მდგომარეობაშია. მაგალითად, იტალია და პორტუგალია გაცილებით ნაკლებად მშრალი ტერიტორიებით ხასიათდება ვიდრე ესპანეთი (Carreras & Tafunell, 2021, p.5). ტენიანობის დეფიციტი ესპანურ მიწებზე იწვევს დაბალ ნაყოფიერებას, რომელიც დღეს უახლესი ტექნოლოგიებით დაბალანსებულია, როგორიცაა, ხელოვნური მორწყვა, თერმული დაცვა და ა.შ.

რაც შეეხება ჰიდროგრაფიულ ქსელს. აქ მდინარეების კალაპოტები შედარებით ვიწროა. მათი ნაკადი მწირი და ცვალებადია, რაც, რა თქმა უნდა, განპირობებულია ნალექების რეჟიმით. ესპანეთის მდინარეების ღვარცოფული ბუნების გამო, მიმდებარე ტერიტორიები სასოფლო-სამეურეო გამოყენებისთვის უვარგისია. მდინარის კალაპოტების შემოღობვა კი მორწყვას ართულებს. ესპანეთში სოფლის-მეურნეობაში წელიწადში მოიხმარენ დაახლოებით 15კმ^3 წყალს. განსაკუთრებით სახნავ-სათესი მიწები (55%), ხეხილი (17%), ბოსტნეული (10%) და ზეთისხილის ბაღები და ვენახები (9%). ესპანეთის ყველაზე გრძელი მდინარეა ებრო (930კმ). მნიშვნელოვანი მდინარეებია, ასევე, გვადიანა (820კმ), დუერო (780კმ) და ა.შ. (Tapiador, 2020, chap.9, p.95).

რაც შეეხება მინერალურ რესურსებს ამ მხრივ ესპანეთის მიმართ ბუნება შედარებით გულუხვი აღმოჩნდა. ქვეყანაში წარმოდგენილია მეტალის მინერალები, როგორიცაა ტყვია, რკინა, სპილენძი და ვერცხლისწყალი, თუმცა მცირე რაოდნობითაა ნავთობი, ბოქსიტი, ნიკელი, ქრომი და ა.შ. ქვეყანაში სამთო მოპოვება რთული და ძვირია. მიზეზი კი ქვეყნის რელიეფია, რომელიც უხეში და გრეხილია. მოპოვებული მინერალები კი ბევრ მინარევებს შეიცავს და ძნელია ამოღება (Carreras & Tafunell, 2021, pp.6-7).

ესპანეთი მდიდარია ფლორითა და ფაუნით. აქ ფლორისა და ფაუნის დაახლოებით 60 000 სახეობაა, აქედან 770 ხმელეთის ხერხემლიანი ფაუნა. აქ ევროპის ქვეყნებს შორის მცენარეთა ყველაზე მეტი სახეობაა წარმოდგენილი, დაახლოებით 8000 სახეობის მცენარე. ჩრდილოეთით გავრცელებულია ფართოფოთლოვანი ტყეები, ასევე მუხა. რაც შეეხება ცენტალურ და სამხრეთ ნაწილს წარმოდგენილია ფიჭვის ტყეები. მშრალ ტერიტორიებზე ძირითადად გავრცელებულია ბუჩქები. რაც შეეხება ფაუნას. ესპანეთში გვხვდება შველი, ირემი, ტახი, მურა დათვი, მგელი, მელა და ა.შ. ესპანეთი ფრინველთა ჯიშებით მდიდარი ქვეყანაა. აქ წარმოდგენილია 300-მდე ჯიში, მათ შორისაა: არწივი, ქორი, შავარდენი და ა.შ. (Tapiador, 2020, chap.11).

დღეს ტყეებს ესპანეთის ტერიტორიის თითქმის 30% უკავია. ადრე ფინიკური დასახლებების გაჩენამდე ამ ტერიტორიის უმეტესი ნაწილი ტყეებით იყო დაფარული, თუმცა განადგურდა უზარმაზარი სიმდიდრისა და მრავალფეროვნების მქონე ტყე. ამან იმდენად დიდი სახე მიიღო, რომ დღეს ქვეყნის მთავარი მიზანი სწორედ ამ სიმდიდრის შენარჩუნება გახდა. (Tapiador, 2020, chap.10, p.127).

თავი III

მოსახლეობა

3.1 მოსახლეობის რაოდენობის დინამიკა, სიმჭიდროვე და ბუნებრივი მოძრაობა

2023 წლის მონაცემებით ესპანეთის მოსახლეობის რაოდენობა შეადგენს დაახლოებით 46 754 ათასი ადამიანს (დანართი #3), რაც მსოფლიოს მოსახლეობის დაახლოებით 0.6%-ია. მოსახლეობის მსგავსი ზრდა გამოწვეულია ბოლო წლებში მიგრაციის გაზრდით. მიგრაციის მაჩვენებელი ყოველ 1000 კაცზე გაანგარიშებით უდრის 5.8. (დანართი #4).

ესპანეთში მოსახლეობის სიმჭიდროვე დასავლეთ ევროპის ქვეყნების უმეტესობაზე დაბალია. სიმჭიდროვე შეადგენს დაახლოებით 94 კაცს კვ.კმ-ზე (დანართი #3), რაც საკმაოდ დაბალი მაჩვენებელია. რა თქმა უნდა ეს გამოწვეულია ქვეყნის რელიეფით, რის შედეგადაც დედაქალაქი მადრიდი და სანაპირო რაიონებია ძირითადად დასახლებული. სავარაუდოდ, სამომავლოდ ეს უთანასწორობა კიდევ უფრო გაიზრდება. როგორც დანართ#1-შიც ჩანს სამომავლოდ, 2030 წლისათვის, კიდევ უფრო დიდი უთანასწორობაა მოსალოდნელი ესპანეთის მოსახლეობის ტერიტორიულ განფენილებაში.

მეცხრამეტე საუკუნეში ესპანეთში დასავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის ყველაზე მაღალი იყო სიკვდილიანობის დონე (Carreras & Tafunell, 2021, pp.7-8). ეს ქვეყნის ეკონომიკური განვითარებით იყო გამოწვეული. იქნებოდა ეს საკვების საცხოვრებლისა თუ სხვა ფაქტორების შედეგად. ცუდი მოსავლის წლებში ქვეყანაში საკვების დეფიციტის პრობლემაც კი იდგა, არასრულფასოვანმა კვებამ კი სხვადასხვა ინფექციების განვითარებას შეუწყო ხელი. ამას გარდა იდგა ინფრასტრუქტურის გაუმართაობისა და არარსებობის პრობლემებიც. ეს ეხება სასმელი წყლის მიწოდებას და ჩამდინარე წყლების ეფექტური გატანის ადეკვატური საკანალიზაციო სისტემას. ჯანდაცვა ამ პერიოდში არ ზრუნავდა მოსახლეობის პრევენციაზე. მაგალითად, ბავშვთა სიკვდილიანობის მთავარი მიზეზი ესპანეთში პრევენციული ვაქცინაციის არარსებობა იყო. მაშინ, როდესაც მეცხრამეტე საუკუნეში სხვა ერები პროგრესს აღწევდა ესპანეთი დემოგრაფიულად ჯერ კიდევ მძიმე სიტუაციაში იყო (Carreras & Tafunell, 2021, pp.8-9).

მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს ქვეყანაში დემოგრაფიული მოდერნიზაცია დაიწყო. შემცირდა სიკვდილიანობის დონე, ქვეყნის განვითარება დემოგრაფიაზეც აისახა. სიკვდილიანობასთან ერთად შემცირდა შობადობაც. მეოცე საუკუნის ორი ათწლეულის განმავლობაში შობადობის კლება ოდნავ შემცირდა. ომთაშორის პერიოდში შობადობის შემცირება მოსახლეობის ურბანიზაციით იყო განპირობებული. შობადობის კლება კი უფრო დაჩქარდა ესპანეთის სამოქალაქო კონფლიქტების წლებში და ომის შემდგომ პერიოდში, რაც კონფლიქტებით იყო გამოწვეული (Carreras & Tafunell, 2021, pp.9-10). ამის შემდგომ დაახლოებით მეოცე საუკუნის 70 წლებამდე, შობადობა ჯერ კიდევ მაღალ დონეზე რჩებოდა (დიაგრამა #1), თუმცა მეოცე საუკუნის ბოლოს ეს მონაცემები შეიცვალა, შობადობა მიუახლოვდა სიკვდილიანობას, 1999 წლიდან მატება კი იმიგრანტების მასიური ჩამოსვლის შედეგია.

ისტორიულად მოსახლეობის რაოდენობის ზრდა ქვეყანაში არათანაბარია. როგორც დიაგრამა #1-ზეა ნაჩვენები ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 2007 წელს იყო (1.95%). ყველზე დაბალი მაჩვენებელი კი 2013 წელს დაფიქსირდა -0.46%. დღეს კი 2021 წელს ეს მაჩვენებელი 0.38%-ს უდრის. მნიშვნელოვანია ასევე განვიხილოთ ბუნებრივი მატების მაჩვენებელიც, რომელიც გამოითვლება შობადობისა და სიკვდილიანობის მაჩვენებლით. ბუნებრივი მატების ტემპი ესპანეთში უარყოფითია (-0.20) (დანართი #3), რაც მიანიშნებს, რომ ქვეყანაში დაბალია შობადობის დონე. როგორც დანართი #3-ში ჩანს შობადობა ყოველ 1000 კაცზე გაანგარიშებით შეადგენს 7.55-ს, როცა სიკვდილიანობის მაჩვენებელი დაახლოებით 10-ს. შესაბამისად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მოსახლეობა დაბერებულია და შობადობა ბევრად მცირეა სიკვდილიანობაზე. ესპანეთში ფერტილობის კოეფიციენტი, რომელიც გულისხმობს რეპროდუქციული ასაკის(15-49წელი) ქალის მიერ სიცოცხლის განმავლობაში დაბადებული ბავშვების რაოდენობას, დაბალია და შეადგენს 1.28-ს (დანართი #3), მაშინ, როცა თაობების აღდგენისათვის ეს კოეფიციენტი უნდა შეადგენდეს დაახლოებით 2-ს.

დიაგრამა #1



წყარო: შესრულებულია ავტორის მიერ[1]

3.2 სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა

რაც შეეხება სქესობრივ-ასაკობრივ კატეგორიას ქვეყანაში საშუალო ასაკი შეადგენს დაახლოებით 44 წელს, რაც კიდევ ერთხელ მიანიშნებს, რომ მოსახლეობაში ჭარბობს ასაკოვანი მოსახლეების წილი. სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა კი ქვეყანაში მაღალია და შეადგენს 83 წელს (დანართი #3). განსხვავებაა სქესის მიხედვით, ქალების სიცოცხლის ხანგრძლივობა მაღალია მამაკაცების სიცოცხლის ხანგრძლივობაზე. მაგალითად, 2021 წელს ქალების სიცოცხლის ხანგრძლივობა შეადგენდა დაახლოებით 86 წელს, ხოლო კაცების 80 წელს. აღსანიშნავია გალიციის რეგიონი, სადაც ეს მაჩვენებელი შეადგენდა 86.7 წელს. ესპანეთი სიცოცხლის ხანგრძლივობით მეორე ადგილზეა ევროპაში, საფრანგეთის შემდეგ. მესამე და მეოთხე ადგილს კი იტალია და საბერძნეთი იკავებენ (Eurostat, 2020).

[1] მონაცემები აღებულია შემდეგი წყაროდან:
https://population.un.org/wpp/Download/Standard/MostUsed/

დიაგრამა #2



წყარო: შესრულებულია ავტორის მიერ[2]

3.3 მიგრაცია

ესპანეთი ევროპაში მიგრანტთა რაოდენობით ერთ-ერთი უდიდესი ქვეყანაა (დანართი #2). აქ მოსახლეობის დაახლოებით 15% არის მიგრანტი. მიგრანტთა საერთო რაოდენობიდან დაახლოებით 11% არის მაროკოდან, რუმინეთიდან - 8% და კოლუმბიიდან - 6% (OECD, 2021).

1990 წლებამდე ესპანეთი ემიგრაციის ქვეყანას წარმოადგენდა, თუმცა ეს ვითარება მოგვიანებით რადიკალურად შეიცვალა. იმიგრაციას ხელი შეუწყო ევროკავშირის ღია შრომის ბაზარმა. გაიზარდა ეკონომიკა, რის შედეგადაც ესპანეთი მიგრანტებისათვის მიმზიდველ ქვეყანად იქცა, ამავდროულად, ლათინურ ამერიკაში ესპანეთის ყოფილი კოლონიების მოსახლეობისათვის ვიზებზე შეღავათების დაწესებამ ეს პროცესი უფრო დააჩქარა. საბოლოოდ, 21-ე საუკინის დასაწყისისათვის ესპანეთში მცხოვრები

[2] მონაცემების შესახებ დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ მოცემულ ლინკზე: https://population.un.org/wpp/Download/Standard/MostUsed/

მიგრანტების რაოდენობა ბევრად სწრაფად იზრდებოდა ვიდრე სხვა ევროკავშირის წევრი ქვეყნის მოსახლეობა (Mazza, 2022).

მნიშვნელოვანია რომ 2021 წელი იყო ერთადერთი წელი, როდესაც ზედიზედ ოთხ წლიანი ზრდის შემდეგ მოსახლეობის მთლიანი რაოდენობა შემცირდა. ქვეყანაში ევროკავშირის იმ ქვეყნების მოქალაქეების რაოდენობა შემცირდა, რომლებიც არიან რუმინეთიდან, ბულგარეთიდან და იტალიიდან, ხოლო, რაც შეეხება ევროკავშირის არაწევრ ქვეყნებს მათი მოქალაქეების რაოდენობა გაიზარდა. ყველაზე მეტი ადამიანი არის მაროკოდან, კოლუმბიიდან და ბრიტანეთიდან (Mazza, 2022).

3.4 ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა და დასაქმების სტრუქტურა

ესპანეთში დამოკიდებულების ინდექსი შეადგენს დაახლოებით 51%-ს. ქვეყანაში სამუშაო ძალის ანუ შრომისუნარიანი მოსახლეობის პროცენტული წილი ქვეყნის მთლიან მოსახლეობაში შეადგენს 58%-ს (2022წ.) შრომისუნარიანი მოსახლეობიდან კი დაახლოებით 13% უმუშევარია (დანართი #4). მოსახლეობის უმეტესობა დასაქმებულია მომსახურების სფეროში. 2021 წლის მონაცემებით მომსახურები სფეროში დასაქმებულთა რაოდენობა სამუშაო ძალის დაახლოების 75.7%, მრეწველობაში 13.7, მშენებლობაში 6.4, ხოლო სოფლის მეურნეობაში 4.2% (The Guide to Business in Spain, 2022).

ესპანეთის სამუშაო ძალის სტრუქტურა სექტორების მიხედვით ბოლო პერიოდში მნიშვნელოვნად შეიცვალა ინდუსტრიალიზაციის შედეგად. მოსახლეობის რაოდენობა, რომელიც მომსახურების სექტორშია დასაქმებული გაიზარდა, ხოლო სოფლის მეურნეობაში და მრეწველობაში დასაქმებულთა რაოდენობა შემცირდა. თუმცა მნიშვნელოვანია ავღნიშნოთ პანდემიის პერიოდი, 2019-2020 წლები, როცა ან შემცირდა მომსახურების სფეროში და ინდუსტრიაში დასაქმებულთა რაოდენობა ან უცვლელი დარჩა, რაც შეეხება სოფლის მეურნეობას პირიქით გაიზარდა. მაგალითად, 2019 წელს სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა რაოდენობა სამუშაო ძალის 4% იყო 2021 წელს კი 4.2% შეადგინა (European commission, 2022).

3.5 ურბანიზაცია, ენა და რელიგია

ესპანეთში მოსახლეობის 81% (2021წ.) ქალაქშია თავმოყრილი (დანართი #4). მოსახლეობის რაოდენობით ლიდერობს ესპანეთის დედაქალაქი, მადრიდი 3.3 მლნ ადამიანი, შემდეგ მოდის ბარსელონა 1.6 მლნ, ვალენსია 814 ათასი, სევილია 700 ათასი და ა.შ. (Worldometer, 2023)

ესპანეთში არც ერთ რელიგიურ კომფესიას არ აქვს ოფიციალური სტატუსი. ქვეყნის კონსტიტუცია უზრუნველყოფს იდეებისა და რელიგიის თავისუფლებას ინდივიდებისა და თემებისათის. 2022 წლის მონაცემებით ქვეყანაში მოქალაქეების 55,4% არის კათოლიკე, 2..6% კი სხვა რელიგიებს ცემს თაყვანს, 28% ათეისტი, 12,3% არის აგნოსტიკოსი, ხოლო 1,8% უცნობია. ესპანეთის ოფიციალური ენა ესპანურია, თუმცა ესპანურის გარდა გვხვდება რეგიონული ენებიც, როგორიცაა, ბასკური, კატალანური, გალისიური და ოქსიტანური (European commission, 2023).

თავი IV

მეურნეობის ზოგადი მიმოხილვა

4.1 ეკონომიკის განვითარების ისტორიული მიმოხილვა

მეცხრამეტე საუკუნემდე ესპანეთის იმპერიის ეკონომიკა წინსვლას განიცდიდა კოლონიების ხარჯზე. თუმცა მეცხრამეტე საუკუნიდან კოლონიების დაკარგვამ მნიშვნელოვანი ზარალი გამოიწვია. 1810 წლიდან 1826 წლამდე ესპანეთმა მთლიანად დაკარგა კონტინენტური ამერიკის იმპერია. დაახლოებით 12 მლნ სუბიექტი და 12 მლნ კვ.კმ. მხოლოდ პუერტო რიკო, კუბა და ფილიპინები რჩებოდა მის შემადგენლობაში, ისიც 1898 წლამდე (Carreras & Tafunell, 2021, p.38).

მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში ამერიკულ კოლონიებთან ვაჭრობას დიდი მნიშვნელობა ქონდა ესპანეთის საგარეო ვაჭრობის გაფართოებაში. კოლონიური ვაჭრობის ჩამოშლამ გავლენა იქონია ქვეყნის ეკონომიკაზე. კერძოდ, გავლენა იქონია საგარეო ვაჭრობის დონეებსა და სტრუქტურაში, ესპანეთის ეკონომიკის საგარეო ბალანსზე, ეროვნული შემოსავლის ევოლუციაზე და პროდუქტიულ სტრუქტურასა და რესურსების განაწილებაზე. უცნობია ამ პერიოდში როგორი იყო ესპანეთის საგარეო

ვაჭრობა, რადგან 1849 წლამდე რამდენიმე ცალკეული წლის გარდა არ არის შემორჩენილი ქვეყნის ოფიციალური სტატისტიკა. ამავდროულად, უცხოური პროდუქტის დიდი რაოდენობა კონტრაბანდის გზით იყო შემოტანილი. სავარაუდოდ, ამერიკული კოლონიების დაკარგვის შემდეგ ესპანეთის რეალური მთლიანი ექსპორტი დაახლოებით 40%-ით შემცირდა, რის შედეგადაც მთლიანი საგარეო ვაჭრობა 15%-ით დაეცა (Carreras & Tafunell, 2021, p.38).

მომდევნო წლების განმავლობაში ლათინურ ამერიკასთან სავაჭრო ნაკადები და სატრანზიტო ვაჭრობა კიდევ უფრო შესუსტდა. კოლონიებში ვაჭრობის მონოპოლიის შედეგად, ესპანელების მიერ შეთავაზებული სერვისები და საქონელი არ იყო კონკურენტუნარიანი. მას შემდეგ, რაც კოლონიური პაქტი დაირღვა ესპანეთის მიერ ლათინურ ამერიკის რესპუბლიკებში გაყიდული საქონელი და შეთავაზებული სერვისები მალე სხვა მოწინავე ქვეყნების აგენტებით ჩანაცვლდა, განსაკუთრებით ეს ეხება დიდ ბრიტანეთს. ესპანეთის ექსპორტი ამ რეგიონში 1827 წელს 42 მლნ-ს შეადგენდა, რაც 1792 წლის მაჩვენებელზე 10%-ით დაბალი იყო (Carreras & Tafunell, 2021, p.40).

საბოლოოდ, ამერიკული ბაზრის დახურვამ და საგარეო სექტორის დისბალანსმა აიძულა ესპანეთი კორექტირება შეეტანა ეკონომიკაში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კოლონიებთან კავშირის გაწყვეტის შედეგად, როცა კოლონიური მიმოსვლა შეწყდა დაეცა ქვეყნის სამრეწველო ექსპორტიც. 1827 წელს შეწყდა მარცვლეულის იმპორტი, თუმცა ქვეყნის სოფლის მეურნეობამ შეძლო საკმარისი მარცვლეულის წარმოება, რათა გამოეკვება მოსახლეობა. 1827 წლიდან ფაქტიურად ესპანეთი წარმოადგენდა ერთ-ერთ ჩამორჩენილ საექსპორტო ქვეყანას (Carreras & Tafunell, 2021, pp.42-43). საერთაშორისო ეკონომიკაში იგი ინტეგრაციის პროცესში იმყოფებოდა. ქვეყანა სპეციალიზებული იყო პირველადი პროდუქტების წარმოებით და ექსპორტით, რომელშიც მას აბსოლუტური უპირატესობები ქონდა და, ამავდროულად, მოთხოვნადი იყო ინდუსტრიალიზებული ქვეყნებისათვის. ამ პერიოდში ძირითადად ქვეყანას ექსპორტად გაქონდა ზეითუნის ზეთი, ღვინო, ციტრუსები, ქიშმიში და ტყვია (Carreras & Tafunell, 2021, p.43).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ პერიოდმა გავლენა იქონია სოფლის მეურნეობაზე, კერძოდ, ხელი შეუწყო სოფლის მეურნეობის გაფართოებას. თუმცა ამ პერიოდში

ძირითადად მცირე საოჯახო საწარმოები იყო წარმოდგენილი, ეკლესიისა და სხვა ინსტიტუტების ხელში. არასაკმარისი რესურსები ან არასწორი ექსპლუატაციის შედეგად კი ეს ადგილები არ იყო პერსპექტიული.

მეთვრამეტე საუკუნის ბოლოს და მეცხრამეტე საუკუნის პირველ ორ ათწლეულის განმავლობაში ესპანეთის ხაზინა კრიტიკულ სიტუაციაში იყო. ომისა და კონფლიქტების შედეგად გაიზარდა ხარჯები. მნიშვნელოვანი კრიზისი 1779 წელს დაიწო, როდესაც ესპანეთი დაუპირისპირდა დიდ ბრიტანეთს ამერიკული კოლონიების დამოუკიდებლობისათის ბრძოლაში (Carreras & Tafunell, 2021, p.43). კრიზისი უფრო გაუარსესდა 1793 წელს, შეიარაღებული კონფლიქტების გამო, როცა ესპანეთი ჩაერთო ჯერ რევოლუციურ საფრანგეთთან და შემდეგ დიდ ბრიტანეთთან. მობილიზებული რესურსები ამ პერიოდის შემდეგ გაქრა, რის შედეგადაც მომდევნო ათი წელი ქვეყანა გაკოტრებული იყო. 1808 წლიდან ესპანეთის ხაზინა ებრძოდა გადახდის უუნარობას და უკიდურეს გაჭირვებას. აბსოლუტური მონარქიის ბოლო მმართველებმა ვერ მოახერხეს ფინანსური წონასწორობის აღდგენა. საბოლოოდ, რეჟიმის კრიზისის შედეგად ესპანეთში ლიბერალური რევოლუცია დაიწყო. სოფლის მოსახლეობისათვის იგი წარმოადგენდა მიწის საკუთრებაში ცვლილებებს. რომლის შედეგადაც შეიცვალა სასოფლო-სამეურნეო მიწის საკუთრების ძველი სამართლებრივი რეჟიმი (Carreras & Tafunell, 2021, pp.45-47). ლიბერალური რევოლუციის შედეგად იგი გახდა ინდივიდუალური, სრული და ლიბერალიზებული საკუთრება.

ესპანეთის ინდუსტრიალიზაციის პროცესი მე-18 საუკუნის ბოლოდან მე-19 საუკუნის გამნავლობაში გაგრძელდა. თუმცა ეს პროცესი უმეტესად ლოკალური იყო, განსაკუთრებით გამოირჩეოდა კატალონა და ბასკეთის ქვეყანა. ამ პერიოდში ესპანეთის ეკონომიკური ზრდის ტემპი უფრო ნელი იყო ვიდრე დასავლეთ ევროპის ძირითადი ქვეყნები. მე-20 საუკუნეში დიდ ბრიტანეთთან, საფრანგეთთან, გერმანიასთან და იტალიასთან შედარებით ესპანეთი განუვითარებელი ქვეყანა იყო.

სამოქალაქო ომმა ესპანეთის ეკონომიკა კიდევ უფრო დახია უკან. ფრანკოს რეჟიმის დროს ქვეყანაში ეკონომიკური პოლიტიკა დაწესდა, რომელიც გულისხმობდა მთავრობის ჩარევას ეკონომიკის რეგულირებაში, როგორიცაა, მაგალითად, ტარიფებისა და ვალუტის რეგულირება, იმპორტის კონტროლი და ა.შ. თუმცა ეკონომიკური

პოლიტიკა არ იყო საკმარისი და ვერ შეძლო ქვეყნის ეკონომიკის გამოცოცხლება. ამავდროულად, 1945 წლის შემდგომ დასავლური დემოკრატიული ქვეყნები ერიდებოდნენ ესპანეთთან ურთიერთობას, რომლის მიზეზი ფაშისტური მთავრობა იყო. ამის გამო ესპანეთს არ მიუღია აშშ-სგან მარშალის გეგმის დახმარება და ბევრი საერთაშორისო ორგანიზაციებიდან გამორიცხულიც კი იყო (Carreras & Tafunell, 2021, pp.61-62).

1950 წელს იყო მნიშვნელოვანი ეკონომიკური კრიზისი. სწორედ ამ პერიოდში აუცილებელი გახდა ეკონომიკური პოლიტიკის ცვლილება. 1959 წელს შემუშავდა ეკონომიკური სტაბილიზაციის გეგმა, რამაც საფუძველი შექმნა ქვეყნის სწრაფი ეკონომიკური ზრდისათვის (Carreras & Tafunell, 2021, pp.155-156). როგორც დიაგრამაზეც ვხედავთ (დიაგრამა #3) 1960 წლიდან 1975 წლამდე ქვეყნის ეკონომიკა საკმაოდ სწრაფად იზრდება. თუ, რამ გამოიწვია ესპანეთის ეკონომიკის აყვავება ეს რამდენიმე ფაქტორის დამსახურებაა. პირველი უცხოური ინვესტიციები ესპანეთში (პირდაპირი უცხოური ინვესტიციები), რაც ეკონომიკური ლიბერალიზაციის შედეგია. აღსანიშნავია ტურიზმიც. ბევრი ევროპელისა თუ ამერიკელისათვის მიმზიდველ ადგილს წარმოადგენდა ესპანეთი, თავისი კლიმატითა თუ რელიეფით. ამას ემატება ემიგრანტების ფულადი გზავნილებიც. მე-19 საუკუნის 50-70-ან წლებში უამრავმა ესპანელმა დატოვა ქვეყანა. მათი უმეტესობა შვეიცარიაში, საფრანგეთსა და გერმანიაში წავიდა (Carreras & Tafunell, 2021, p.206).

1973 წელს ნავთობის კრიზისმა დასავლეთ ქვეყნებში ინფლაცია და ეკონომიკური ვარდნა გამოიწვია, რამაც შეაჩერა ესპანეთის ეკონომიკური ზრდა. 1975 წელს ფრანკოს გარდაცვალების შედეგად ქვეყანაში ისევ პოლიტიკური არასტაბილურობა იყო. თუმცა 1980-იანი წლებიდან ქვეყნის ეკონომიკა ზრდას შეუდგა, რაც გამოწვეული იყო ქვეყნის გაწევრიანება ინდუსტრიულ რესტრუქტურიზაციისა და ევროპულ ეკონომიკურ თანამეგობრობაში (Carreras & Tafunell, 2021, p.206). მართალია, როგორც, დიაგრამაზეც (დიაგრამა #3) ვხედავთ ქვეყნის ეკონომიკის ზრდა არ იყო ისეთი, როგორიც მაგალითად 1960-იან წლებში, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ იგი მაინც ერთ-ერთი ყველაზე მაღალი იყო დასავლეთ ევროპაში (The World Bank).

დიაგრამა #3



წყარო: *შესრულებულია ავტორის მიერ*[3]

1990-იან წლებში ესპანეთის ეკონომიკა დასტაბილურდა შემცირდა უმუშევრობა და ინფლაცია. მოგვიანებით მნიშვნელოვანი ცვლილება 2008-2009 წლებში დაფიქსირდა, როცა იყო გლობალური ფინანსური კრიზისი, სადაც ესპანეთი ერთ-ერთი ყველაზე დაზარალებული ქვეყანა იყო. 2009 წელს მშპ-ს წლიური ზრდა -3.8%-ს შადგენდა, ნომინალური მშპ კი 1.49 ტრილიონ აშშ$-ს (The World Bank). მთავრობის მცდელობა არასაკმარისი აღმოჩნდა, რის შედეგადაც ქვეყნის ობლიგაციების შემოსავალი საზიფათო ზღვარზე მივიდა. უმუშევრობა გაიზარდა, რამაც მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო ქვეყნის ეკონომიკა. 2012 წელს ევროკავშირისგან ცენტრალური ბანკის და საერთაშორისო სავალუტო ფონდისაგან ესპანეთმა 100 მლრდ ევრო მიიღო, ამ კრიზისის აღმოსაფხვრელად (Carreras & Tafunell, 2021, p.231). ესპანეთის ეკონომიკური მდგომარეობა გაუმჯობესდა 2013-14 წლებში. 2015 წლიდან 3.5%-ით გაიზარდა მშპ (დიაგრამა #3).

4.2 მშპ-ს სტრუქტურა

დღეს ესპანეთის მიმდინარე მშპ 1.43 ტრილიონ აშშ დოლარს შეადგენს (დანართი #5). მშპ-ს სიდიდით ესპანეთი ევროკავშირის ქვეყნებს შორის მეოთხე ადგილს იკავებს,

[3] მონაცემების შესახებ დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ world bank-ის საიტზე: https://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.MKTP.KD.ZG?locations=ES

მსოფლიოს მასშტაბით კი მე-14 ადგილს. უცხოური ინვესტიციებით კი მსოფლიოში მე-13 ადგილს (ICEX, 2019). ესპანეთის მშპ-ს მსყიდველუნარიანობის პარიტეტი მსოფლიო ბანკის მონაცემებით 2021 წელს შედგენდა 1.93 ტრილიონ $-ს, 2000 წელს ეს მაჩვენებელი შეადგენდა 875.8 მლრდ-ს. ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით 2021 წელს კი შეადგენს 40,602.1$-ს. 2000 წელს კი 21,588.4 $-ს (დანართი #5). მნიშვნელოვანია განვიხილოთ ესპანეთის მაჩვენებელი მეზობელი ქვეყნების მაგალითზეც. მაგალითად, მსყიდველუნარიანობის პარიტეტი საერთაშორისო ვალუტაში საფრანგეთში 3.46 ტრილიონს შეადგენს, რაც 1.53 ტრილიონით მეტია ესპანეთის მაჩვენებელზე. რაც შეეხება პორტუგალიას 372.19 მლრდ შეადგენს, რომლითაც ჩამორჩება ესპანეთს (The World Bank, 2021).

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რაოდენობა მშპ-ში 2021 წელს 3.1%-ს შეადგენს. მნიშვნელოვანია, რომ ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 2000 წელს დაფიქსირდა, როცა ეს მაჩვენებელი 6.8%-ს შეადგენდა. რაც შეეხება 2022 წელს უცხოურმა ინვესტიციებმა შეადგინა 34,2 მლრდ ევრო, რომელიც 1993 წლის შემდეგ ყველაზე მაღალი მააჩვენებელია (The World Bank, 2021). 2021 წელთან შედარებით ეს არის 13.9%-იანი ზრდა. გეოგრაფიულად აშშ წარმოადგენს მთავარ ინვესტორს ესპანეთში (27.7%), მას მოსდევს დიდი ბრიტანეთი (17.8%) და გერმანია (14%). სექტორების მიხედვით კი მთლიანი უცხოური ინვესტიციების ნახევარზე მეტი დაახლოებით 55.1% მოდიოდა მომსახურების სექტორზე, შემდეგ მოდის მრეწველობა 42.2%, მშენებლობა 2.5% და პირველადი სექტორი 0.2% (La Moncloa, 2023).

მეოცე საუკუნის დასაწყისში ესპანეთში ინდუსტრიალიზაციის შედეგად გაიზარდა ურბანული მოსახლეობის რაოდენობა. ეკონომიკა კი ნაკლებად აგრარული გახდა. ურბანიზაციის პროცესი ქვეყანაში 1910 წლის შემდეგ გავრცელდა. უმსხვილესი სექტორი ჯერ კიდევ სოფლის მეუნეობა იყო, თუმცა ყველაზე სწრაფად მზარდი კი მომსახურების სექტორი. რაც შეეხება დღევანდელ სიტუაციას, როგორც ყველა განვითარებულ ქვეყანაში ესპანეთშიც მშპ-ში ლიდერობს მომსახურების სფერო, რომელსაც მშპ-ს 67.4% უკავია, შემდეგ მოდის ინდუსტრია (20%) და ბოლოს სოფლის მეურნეობა(2.6) (დიაგრამა #4).

დიაგრამა #4



წყარო: *შესრულებულია ავტორი მიერ*[4]

საბოლოოდ, მონაცემებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ესპანეთის ერთ-ერთი მოწინავე ქვეყანაა, რომელსაც სწარფად მზარდი ეკონომიკა გააჩნია, რომელმაც შეძლო კრიზისების მიუხედავად აღედგინა თავისი ეკონომიკა.

თავი V

მეურნეობის სექტორული ანალიზი

5.1 პირველადი და მეორადი სექტორი

წინა პარაგრაფში მიმოვიხილე ესპანეთის ეკონომიკა და მშპ, ამ თავში კი მინდა ყურადღება გავამახვილო მეურნეობის სექტორებზე და ავღწერო თითოეული მათგანი. პირველ რიგში პირველად და მეორად სექტორს მიმოვიხილავ. პირველადი სექტორი მოიცავს სოფლის-მეურნეობას, მრეწველობას, მეთევზეობას სატყეო მეურნეობას და ა.შ. რომელშიც დასაქმებულია ესპანეთის მოსახლეობის სამუშაო ძალის 4.2% (დიაგრამა #5).

[4] მონაცემების შესახებ დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ მოცემულ ლინკზე:
https://data.worldbank.org/indicator/NV.SRV.TOTL.ZS?locations=ES
https://data.worldbank.org/indicator/NV.IND.TOTL.ZS?locations=ES
https://data.worldbank.org/indicator/NV.AGR.TOTL.ZS?locations=ES

დიაგრამა #5



წყარო: *შესრულებულია ავტორის მიერ*[5]

მეორადი სექტორი მოიცავს მრეწველობას, ტრანსპორტს, მშენებლობას და სხვა ინფრასტუქტურის დარგებს. მეორადი სექტორი გულისხმობს პირველადი სექტორის, ნედლეულის ან შუალედური მასალის გადაქცევას საქონელად. მაგალითად, როგორიცაა: მანქანები, ტანსაცმელი და ა.შ. მეორად სექტორში დასაქმებულია სამუშაო ძალის დაახლეობით 20.1% (დიაგრამა #5).

პირველად სექტორში აღსანიშნავია სოფლის მეურნეობა, რადგან ესპანეთის ყველაზე ღირებული ბუნებრივი რესურსი ნიადაგია. მიწის დაახლოებით ნახევარი ვარგისია სოფლი მეურნეობისათვის. დღეს სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი ქვეყნის მთლიანი ფართობში დაახლოებით 53%-ს შეადგენს (დიაგრამა#6). სასოფლო სამეურნეო მიწების გარდა ესპანეთს აქვს მრავალი მინერალური რესურსი, მათ შორის არის მყარი და ყავისფერი ქვანახშირი, ნავთობის და ბუნებრივი აირის მცირე საბადო, ურანი, რკინის მადანი, ვერცხლისწყალი, პირიტები, თაბაშირი, თუთია ტყვია, სპილენძი, კალიუმი და ა.შ. (Tapiador,2020, p.361).

[5] მონაცემები აღებულია: *https://www.guidetobusinessinspain.com/en/1-spain-an-attractive-country-for-investment/1-2-2-population-and-human-resources/*

დიაგრამა #6



წყარო: *შესრულებულია ავტორის მიერ*

მსოფლიო ბანკის მონაცემებით სახნავ მიწებს ესპანეთში 2020 წლის მონაცემებით 23.3% უკავია (The World Bank, 2020). ესპანეთის უდიდესი სასოფლო-სამეურნეო ტერიტორია არის კასტილია და ლეონი, შემდეგ კი მოდის ანდალუზია. ყველაზე მეტ მარცვლეულს აწარმოებს ვალადოლის პროვინცია. ესპანეთი აწარმოებს პურს და სხვა მაღალი ხარისხისა და მრავალფეროვან პროდუქტებს (Tapiador,2020, p.361). აღსანიშნავია ასევე ზეთისხილის ხეები, რომელთაც აქ კულტივირებული მიწის დაახლოებით 14,6% უკავია. ზეთისხილის წარმოებით გამოირჩევა ხაენის პროვინცია, შემდეგ მოდის კორდობა, სევილია და გრანადა (Tapiador,2020, p.361). ზეთისხილისგან ამზადებენ ზეითუნის ზეთს, რომელიც მეორად სექტორს კერძოდ, კვებით მრეწველობას მიეკუთვნება. ესპანეთი მსოფლიოში ზეითუნის ზეთის წამყვანი მწარმოებელია. ზეითუნის ზეთი საექსპორტო პროდუქტია, რომელიც ექსპორტის 1.06%-ს შეადგენს, დანიშნულების ქვეყნები კი არიან იტალია (28.1%), პორტუგალია(11%), საფრანგეთი (8.45%) და ა.შ. (OEC, 2021).

ვენახებს დამუშავებული მიწის 5.2% უკავია. მეღვინეობა ესპანეთის ზოგიერთი სოფლის მთავარ შემოსავალსაც წარმოადგენს. მეღვინეობის ქარხნებმა ეს სოფლები ეკონომიკურად გამოაცოცხლა. მაგალითად, ერთ-ერთი მსგავსი სოფელია დელ დუელო.

[6] მონაცემების შესახებ დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ World Bank-ის საიტზე:
https://data.worldbank.org/indicator/AG.LND.AGRI.ZS?end=2020&locations=ES&start=1961&view=chart
https://data.worldbank.org/indicator/AG.LND.FRST.ZS?end=2020&locations=ES&start=1961&view=chart

ღვინო ექსპორტში 0.95%-ს იკავებს, დანიშნულების ადგილი კი არის გერმანია (12%), დიდი ბრიტანეთი (11.3%), საფრანგეთი (7.36%) და ა.შ. (OEC, 2021).

ხეხილს კულტივირებული მიწის 6.6% უკავია, არაციტრუსული ხილით გამოირჩევა ლერიდას პროვინცია, შემდეგ კი მოდის მურსია და სარაგოსა. რაც შეეხება ციტრუსს ლიდერია ვალენსია და მურსია, აღსანიშნავია ასევე უელვა და სევილია. (Tapiador,2020, p.371). ექსპორტის სტატისტიკაში ციტრუსს 1.11% უკავია (OEC, 2021).

ესპანეთში ყველაზე მომგებიანი კულტურები სათბურში წარმოებული კულტურებია, განსაკუთრებით ეს ეხება ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილს. სამუშაო ძალას ამ ობიექტებზე ძირითადად იმიგრანტები შეადგენენ, რომლებით მზად არიან იმუშაონ მძიმე პირობებში. ამ ობიექტების ეკონომიკა დამოკიდებულია მზის ნათების რაოდენობაზე, რაც რამდენჯერმე მოსავლის მიღების შესაძლებლობას იძლევა. წარმოებულ პროდუქციას კი შეუძლია კონკურენცია გაუწიოს ადგილობრივ პროდუქციას. ექსპორტის სტატისტიკაში მაგალითად, პომიდვრის ექსპორტს 0.28%, ხოლო კიტრის - 0.23%, სხვა ბოსტნეულებს კი 0.81% (OEC, 2021).

აღსანიშნავია, ასევე, მეცხოველეობაც, განსაკუთრებით მეღორეობა, ფერმებისათვის გამოყოფილია ტერიტორია კატალონიაში და სეგოვიაში. მნიშვნელოვანია, რომ ეს ქმნის სერიოზულ ეკოლოგიურ პრობლემებს, რადგან ჩნდება სიბინძურე და უსიამოვნო სუნი. ექსპორტში ღორის ხორცს 1.74% უკავია. რძის ექსპორტი შედარებით დაბალია და 0.084% შეადგენს, თუმცა უფრო მაღალი მაჩვენებელი აქვს ყველის ექსპორტს, რომელიც 0.18%-ს შეადგენს. ღორის ხორცი უმეტესად აზიის ქვეყნებში გადის. ქვეყნებს შორის პირველ ადგილზე ჩინეთია (37.4%), შემდეგ მოდის იაპონია 9.52%, საფრანგეთი (8.33%), სამხრეთი კორეა (6.83%) და ა.შ. (OEC, 2021).

ესპანეთი თევზჭერით პირველი ქვეყანაა ევროპაში, შემდეგ მოდის დანია. ის ასევე არის ფერმერული თევზის მწარმოებელი. ექსპორტში თევზსს 0.054% უკავია, ამ მაჩვენებელში გაერთიანებულია, როგორც ცოცხალი თევზის ექსპორტი, ისე გაყინული თევზი. დანიშნულების ადგილი კი ძირითადად ევროპის ქვეყნებია, ესენია საფრანგეთი, იტალია, პორტუგალია და ა.შ. (OEC, 2021).

როგორც ზემოთ უკვე განვიხილე ესპანეთი მდიდარია სოფლის-მეუნეობის პროდუქტებით. ქვეყანა აწარმოებს მზა პროდუქტებს შემდგომი ექსპორტისათვის,

როგორიცაა ზეითუნის ზეთი, ყველი და ა.შ. თუმცა კვებით მრეწველობის გარდა ქვეყანაში წარმოდგენილია მსუბუქი მრეწველობა, მანქანათმშენებლობა, ქიმიური მრეწველობა და ა.შ.

წარმოებას ესპანეთის მშპ-ს 12% უკავია, საკვებს, სასმელსა და თამბაქოს - 20%. მედიკამენტებს -12%, მანქანებს და სატრანსპორტო აღჭურვილობას - 24%, ტექსტილს და ტანსაცმელს - 3% (The World Bank, 2020).

წარმოებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მანქანების წარმოება. 2021 წელს ესპანეთმა 34,4 მლრდ დოლარის მანქანების ექსპორტი მოახდინა, რის შედეგადაც წარმოადგენს მეექვსე უმსხვილეს მანქანების ექსპორტიორ ქვეყანას მსოფლიოში. მანქანების ექსპორტის ძირითადი მიმართულებებია: საფრანგეთი (21,4%), გერმანია (19,3%), იტალია (10,4%), დიდი ბრიტანეთი (9,21%) და ბელგია (6.63%) (OEC, 2021). რაც შეეხება ავტომობილების იმპორტს 2021 წელს 15,9 მლრდ $ შეადგინა. მანქანები ძირითადად შემოაქვთ გერმანიიდან (26%), საფრანგეთიდან (11%), ჩეხეთიდან (7,52%), დიდი ბრიტანეთიდან (6,17%), და სამხრეთ კორეიდან (5,73%) (OEC, 2021).

მნიშვნელოვანია წიაღისეულების ექსპლუატაციაც. ვერცხლისწყლის გამოყენების შეზღუდვამდე ესპანეთი მსოფლიოში უდიდესი მწარმოებელი იყო. მსგავსი ვითარება წარმოიშვა ქვანახშირის შემთხვევაშიც. მისი გამოყენების შემცირება გარემოსდაცვითი პრობლემების გამო და უფრო იაფად შემოტანის შესაძლებლობამ გამოიწვია ბევრი მაღაროს დახურვა. 2017 წლის მონაცემებით სტონციუმის წარმოებით ესპანეთი მსოფლიოში პირველ ადგილზე იყო, რკინის ოქსიდის პიგმენტების მე-4 მწარმოებელი ქვეყანა, თაბაშირის მე-7 მწარმოებელი და ა.შ. ქვეყანაში ენერგეტიკას და სამთო მოპოვებას მთლიანი ენერგიის მოხმარების 20% უკავია. (Tapiador,2020, p.377). ენერგიის წარმოება ძირითადად ბირთვულ ენერგიაზეა დამოკიდებული შემდეგ მოდის, ქარის, მზის, გეოთერმული და ა.შ.

მნიშვნელოვანია ყურადღება გავამახვილოთ ესპანეთის ინფრასტრუქტურის შესახებ. აქ ჩქაროსნული მატარებელის ყველაზე ფართო ქსელია ევროპაში და მეორე ადგილზე მსოფლიოში ჩინეთის შემდეგ. სარკინიგზო ხაზების საერთო მარშრუტი მსოფლიო ბანკის მონაცემებით 16 963 კვ.კმ-ს შეადგენს (The world Bank). ქვეყანას აქვს ავტომაგისტრალებისა და მაგისტრალების უდიდესი ქსელი. ესპანეთში 30 ზე მეტი

საერთაშორისო აეროპორტია. საჰაერო მოგზაურობით ევროკავშირში მესამე ადგილზეა, ხოლო საზღვაო ტრანსპორტით მე-4 (Spain Convention Bureau).

5.2 მესამეული და მეოთხეული სექტორი

ესპანეთის მოსახლეობის 75.7% მომსახურების სფეროშია დასაქმებული (დიაგრამა #5). ესპანეთში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ტურიზმს, რომელიც გავლენას ახდენს ეკონომიკის ყველა სექტორზე იქნება ეს სოფლის მეურნეობა, მშენებლობა თუ სხვა ინფრასტუქტურა. ტურისტული თვალსაზრისით ესპანეთში გამოირჩევა სანაპირო ზოლი, თუმცა საკმაოდ პოპულარულია შიდა ტურიზმიც. ტურიზმის აქტივობამ 2021 წელს მიაღწია 97,126 მლნ ევროს, რაც მშპ-ს დაახლოებით 8%-ია. ტურიზმის დარგებმა შექმნა 2.27 მლნ სამუშაო ადგილი, რაც მთლიანი დასაქმების 11.4%-ს შეადგენს (OECD,2022).

ტურიზმი ესპანეთის ეკონომიკის ერთ-ერთ მთავარ სექტორს წარმოადგენს. 2019 წელს ტურიზმმა 155 მლრდ ევრო და მშპ-ს 12.4% შეადგინა. სექტორში დასაქმებული იყო დასაქმებული მოსახლეობის 13.5%. Covid-19-ის პერიოდმა გაანახევრა ტურიზმის პროცენტული რაოდენობა მშპ-ში და 5.5% შეადგინა. თუმცა დღეს ესპანეთის მოსახლეობის 12% ტურიზმშია დასაქმებული (OECD,2022).

2019 წელს საერთაშორისო ტურისტების რაოდენობა 83,5მლნ-ს შეადგენდა. კოვიდის შედეგად 2020 წელს ეს მაჩვენებელი 77.3%-ით შემცირდა წინა წელთან შედარებით და შეადგინა 18.8 მლნ ვიზიტორი. 2021 წელს ეს მაჩვენებელი 31.2 მლნ ვიზიტორს შეადგენს, თუმცა 2019 წლის მაჩვენებელთან შედარებით ეს მაჩვენებელი 62.7%-ით დაბალია (World Economic Forum, 2022).

საერთაშორისო ტურისტების მსგავსად დაეცა შიდა ვიზიტორების რაოდენობაც. 2020 წელს შიდა ვიზიტორთა რაოდენობა შეადგენდა 74.8 მლნ-ს, რაც წინა წელთან შედარებით 45.5%-ით დაბალი მაჩვენებელია. 2021 წელს ეს მაჩვენებელი 40%-ით გაიზარდა, თუმცა მაინც ჩამორჩება პანდემიამდელ მაჩვენებელს (World Economic Forum, 2022).

ესპანეთის ტურისტების დიდი ნაწილი მოდის საფრანგეთიდან და გერმანიიდან, დიდი ბრიტანეთიდან და ნიდერლანდებიდან (OECD,2022). 2019 წელს ესპანეთი მეორე

ყველაზე მონახულებადი ქვეყანა იყო. პანდემიის პერიოდმა ამ სექტორზე ყველაზე მეტად იმოქმედა, რამაც გამოიწვია ტურისტების შემცირება, თუმცა 2022 წლიდან ქვეყანაში ისევ მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ტურიზმს. 2023 წლის მარტში ესპანეთში 6.5 მლნ საერთაშორისო მგზავრი ჩავიდა. დღეს ესპანეთი ტურიზმის კონკურენტუნარიანობის ინდექსში მესამე ადგილს იკავებს. მის წინ იაპონია და აშშ დგას, ხოლო ინდექსში ესპანეთის შემდეგ მოდის საფრანგეთი და გერმანია. ამ ინდექსის მიხედვით ესპანეთი 2021 წელს, ტურისტული თვალსაზრისით, ევროპის ყველაზე მონახულებადი ქვეყანაა. აქვე უნდა ავღნიშნო, რომ 2019 წელს ესპანეთი ამ ინდექსის პირველ ადგილას იყო, თუმცა, როგორც ზემოთ უკვე ვახსენე, პანდემიის პერიოდმა ესპანეთის მაჩვენებელი ორი რანგით დაწია (World Economic Forum, 2022).

ესპანეთის ძირითადი ეკონომიკური აგენტებია მადრიდი, კატალონია და ბასკების ქვეყანა. სწორედ აქ არის წარმოდგენილი ესპანეთის ეკონომიკური და ფინანსური ცენტრები.

ესპანეთის ცენტრალური ბანკი დაარსდა ჩარლზ III-ის მიერ 1782 წელს. 1999 წლიდან ევროკავშირში გაწევრიანების შემდეგ ესპანური პესეტა ევრომ შეცვალა. ესპანეთის ბანკების უმეტესობა წარმოდგენილია მადრიდში, ბარსელონაში და ბილბაოში (European Banking Federation).

როგორც ზემოთ უკვე ვახსენე ესპანეთი წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე სწრაფად მზარდ ქვეყანას. ესპანეთი კომერციული მომსახურების უმსხვილესი ექსპორტიორია, რეიტინგით იგი მე-11 ადილზეა მსოფლიოში. პროდუქტებისა და სერვისების ექსპორტს მშპ-ს 34.5% უკავია. ამ მაჩვენებლით იგი ევროპის ქვეყნებს შორის ჩამორჩება გერმანიას (47.8%), თუმცა უსწრებს იტალიას (31.8%), საფრანგეთს (31.3%) და დიდი ბრიტანეთს (29.9%) (ICEX, 2019). ესპანეთში დაფუძნებული უცხოური მრავალეროვანი კომპანიები პასუხისმგებელნი არიან ესპანეთის მთლიანი ექსპორტის დაახლოებით 44.5%-ზე. პროდუქტებისა და სერვისების ექსპორტი გეოგრაფიული დანიშნულების ადგილის მიხედვით 2019 წლის მონაცემებით შემდეგნაირია. კერძოდ, ევროკავშირი - 65.6%, დანარჩენ ევროპაში 5.7%, ლათინური ამერიკა - 5.4%, ჩრდ. ამერიკა _ 5.1%, აზია - 6.3%, ახლო აღმოსავლეთი - 2.9%, აფრიკა - 6.5% და ოკეანეთი და სხვა დანარჩენი - 2.5% (ICEX, 2019).

ექსპორტს ძირითადი დანიშნულების ქვეყნები არიან საფრანგეთი 15.8%, გერმანია 10.3%, იტალია 8.22%, პორტუგალია 8.2% და დიდი ბრიტანეთი 5.81%. რაც შეეხება სტრუქტურას, ყველაზე დიდი პროცენტული წილი ექსპორტში 9.24% მანქანების ექსპორტს უკავია. ასევე მნიშვნელოვანია მედიკამენტების ექსპორტი, რომლის პროცენტული წილიც ექსპორტში 6.02%-ია, ძირითადი დანიშნულების ადგილი კი ევროპის ქვეყნებია. ღვინის ექსპორტი - 0.95%, ციტრუსი - 1.11%, ნავთობი - 3.34% და ა.შ. (OEC, 2021). აღსანიშნავია ასევე, მაღალტექნოლოგიური ვაჭრობა. მთლიანი ვაჭრობიდან მაღალტექნოლოგიურ ვაჭრობას ექპორტში მსოფლიოს მასშტაბით ესპანეთს 6.85% უკავია, ხოლო ევროკავშირის ქვეყნებს შორის 7.22%, იმპორტით კი მსოფლიოს მასშტაბით 10.8%, ხოლო ევროკავშირში 11.17% (Eurostat, 2022).

ესპანეთში მაღალ დონეზეა განათლება. წიგნიერების დონე ქვეყანაში დაახლოებით 99%-ია. წარმოდგენილია, საბაზო, საშუალო და უმაღლესი განათლება. საბაზო განათლება 16 წლამდე სავალდებულოა და უფასოა, თუმცა გამონაკლის შემთხვევეში, სასამართლოს განაჩენის საფუძველზე, მშობლებს შეუძლიათ თავად ასწავლონ შვილებს (The World Bank, 2020).

განვითარებულია ქვეყნის ჯანდაცვის სექტორიც. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიხედვით ესპანეთის ჯანდაცვის სისტემა ერთ-ერთი საუკეთესოა მსოფლიოში. ჯანდაცვის მთლიანი ხარჯები დაახლოებით 9.4%-ს შეადგენს. ჯანდაცვა ესპანეთში არის უფასო, თანასწორი და ხელმისაწვდომი ქვეყნის თითოეული მოქალაქისათვის (The European Observatory…2021)

ესპანეთში საჯარო კვლევების უმეტესობა უნივერსიტეტებსა და კვლევის დაწესებულებებში CSIC-ს ეგიდით ტარდება. მცირე რაოდენობითაა კერძო უნივერსიტეტების კვლევები. 1990-იან წლებში კომპანიები ინვესტიციას დებდნენ, რათა თავად ჩაეტარებინათ კვლევები, თუმცა ისინი ნაკლებად შეესაბამებოდა საერთაშორისო სტანდარტებს. აქ სახელმწიფო ორგანოებს მოეთხოვებათ ხელი შეუწყონ მეცნიერებასა და სამეცნიერო და ტექნიკურ კვლევებს (Tapiador,2020, p.427).

თავი VI

ქვეყნის ადგილი გლობალურ სისტემებში და სტრუქტურებში

ესპანეთი არის ევროკავშირის, გაეროს, ნატოს, OECD, WTO და სხვა მრავალი ორგანიზაციის წევრი[7]. ესპანეთი ევროკავშირს 1955 წელს შეუერთდა, თუმცა ორგანიზაციის არა მუდმივი წევრია, ბოლოს 2015-2016 წლებში მონაწილეობდა გაეროს გენერალურ ასამბლიაში. ქვეყანა არის გაეროს ორგანიზაციების წევრი, როგორიცაა მსოფლიოს ტურიზმის ორგანიზაცია (1975წ), სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (2013წ.) და ა.შ. ასევე, არის ნატოს (1982წ), ევროპის უშიშროებისა და თანამეგობრობის ორგანიზაციის (OECD) წევრი 1955 წლიდან. 1999 წლის 1 იანვრიდან ესპანეთი ევროკავშირის წევრია, 1995 წლის 26 მარტიდან შენგენის (La Moncloa).

რაც შეეხება ქვეყნის განვითარების დონეს, მინდა ყურადღება გავამახვილო ჰუმანური განვითარების ინდექსზე, რომელიც წარმოადგენს ქვეყნის განვითარების საზომს. ამ ინდიკატორში გაერთიანებულია ისეთი მონაცემები, როგორიცაა განათლების დონე, სიცოცხლის ხანგრძლივობა და GNI-ის ინდექსი ერთ სულ მოსახლეზე, რომელიც წარმოადგენს შემოსავლების განაწილების საზომს მოსახლეობაში (დანართი #6). ჰუმანური განვითარების ინდექსი იზომება 0-დან 1-მდე, სადაც 1-თან მიახლეობული მაჩვენებელი ყველაზე მაღალია და წარმოადგენს განვითარებულ ქვეყანას. ჰუმანური განვითარების ინდექსი ძალიან მაღალია, როცა მაჩვენებელი მეტია ან ტოლი 0.800-ზე, მაღალი - 0.700 – 0.699; საშუალო 0.550-0.699; დაბალი 0.550 და ქვემოთ (United Nation).

რაც შეეხება ესპანეთის მაჩვენებელს, როგორც დანართ #6-ში არის წარმოდგენილი, ადამიანური განვითარების ინდექსი აქ 0.905-ია, შესაბამისად, ქვეყანაში ძალიან მაღალია ინდექსი, რაც შეეხება მის მეზობელ ქვეყნებს, საფრანგეთი (0.903) და პორტუგალია (0.866) ჩამორჩება ესპანეთის მაჩვენებელს. როგორც ზემოთ ავღნიშნე ეს ინდექსი ხაზს უსვამს ქვეყნის სოციო-ეკონომიკურ განვითარების დონეს. თუ წინა ცხრილებს დავუბრუნდებით, ვნახავთ, რომ ქვეყანაში მაღალია სიცოცხლის ხანგრძლივობა, განათლების, ჯანდაცვის დონე, რაც აისახება მონაცემებზეც. მნიშვნელოვანია, რომ ამ ინდექსში ესპანეთი საფრანგეთს უსწრებს. პანდემიის პერიოდში ეს ინდექსი დაბლა

[7] დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ გვერდზე: https://www.globalwps.org/data/ESP/files/list.pdf

ჩამოვიდა და 2020 წელს ესპანეთში 0.899, ხოლო საფრანგეთში 0.898 იყო, ქვეყნების მაჩვენებელი ერთმანეთისაგან 0.001-ით განსხვავდებოდა (United Nation). პანდემიის შემდგომ ესპანეთმა მარტივად შეძლო ქვეყნის გამოცოცხლება და პირველობის შენარჩუნება. მსოფლიოს მასშტაბით ამ ინდექსის სათავეში არის ისეთი ქვეყნები, როგორიცაა: ნიდერლანდები, ნორვეგია, ისლანდია, ჰონგ კონგი და ა.შ. ესპანეთი ამ ინდექსით მსოფლიოში 27-ე ადგილზეა (United Nation).

ესპანეთის ეკონომიკური თავისუფლების ქულა არის 65, ამ მაჩვენებლით იგი მსოფლიოში 51-ე ადგილს იკავებს (დანართი#6). მნიშვნელოვანია, რომ მისი ქულა 3.2 ქულით ნაკლებია წინა წელთან შედარებით. ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის პირველ ადგილზე სინგაპურია, რომლის ქულაც დაახლოებით 84-ია. ესპანეთზე დაბალი ქულა აქვს სომხეთს (50) და მაღალი ბოსტვანას (52). რაც შეეხება, ევროპას, აქ, 29-ე ადგილს იკავებს და ესპანეთის საერთო ქულა აღემატება, როგორც მსოფლიოს, ისე რეგიონის საშუალო მაჩვენებელს (The Heritage Foundation, 2023). ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი ისეთ იდექსებს აერთიანებს, როგორიცაა საკუთრების უფლება, სამართლებრივი ეფექტურობა, ბიზნესის თავისუფლება, შრომითი თავისუფლება და ა.შ.

დანართ #7-ის ცხრილში წარმოდგენილია, ასევე, დემოკრატიულობის ინდექსი, რომლითაც ესპანეთი 22-ე ადგილზეა მსოფლიოში, რაც შეეხება საფრანგეთს - 24-ე და ესპანეთი 26-ე. ესპანეთში ახალგაზრდა დემოკრატიაა, საპარლამენტო სისტემაში წარმოდგენილია მრავალპარტიული არჩევნები. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში პოლიტიკური კორუფცია კვლავ მაღალია, მაინც არის კანონის უზენაესობა და სამოქალაქო თავისუფლება. სეპარატისტული მოძრაობები, რომლებიც წარმოდგენილია კატალონიაში და ბასკების ქვეყანაში გამოწვევაა ქვეყნის კონსტიტუციონალიზმისათვის. პოლიტიკური თავისუფლებით ესპანეთი 37-ე, ხოლო სამოქალაქო თავისუფლებით 53-ე ადგილზეა. რაც შეეხება კორუფციის აღქმის ინდექსს შეადგენს 60-ს, რაც შეეხება პორტუგალიას შეადგენს 62-ს, ხოლო საფრანგეთში 72-ს (დანართი #7). ესპანეთი ბიზნესის კეთების სიადვილით 30-ე ადგილზეა მსოფლიოში. ამ მაჩვენებლით წინ უსწრებს საფრანგეთს და პორტუგალიას. რაც შეეხება ვაჭრობის თავისუფლების ინდექსს, აქაც, მის მეზობელ ქვეყნებს შორის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (82ქ.) აქვს (დანართი #6-7).

ესპანეთი გლობალიზაციის ეპოქაში წარმოადგენს ქვეყანას, რომელიც სთავაზობს ტურისტებს ხარისხიან ტურისტულ მომსახურებას უსაფრთხო გარემოში. სთავაზობს უნიკალურ გარემოს, კლიმატს. თუმცა ნებისმიერ შემთხვევაში დღეს ესპანეთს აქვს შეზღუდული საერთაშორისო შესაძლებლობები. სხვადასხვა სფეროებში ქვეყნის წარმატება მნიშვნელოვნად დამოკიდებულია ევროკაშვირის წევრობაზე.

ესპანეთი, რომელიც ერთ დროს წარმოადგენდა მნიშვნელოვან მსოფლიო ძალას, დღესაც თავისი მაჩენებლებით საკმაოდ ლიდერობს და წინ უსწრებს ევროპის ბევრ ქვეყანას. თუმცა იგი ეკონომიკურად მნიშვნელოვნად დამოკიდებულია ევროკავშირზე, ხოლო სამხედრო თვალსაზრისით ნატოზე. ესპანეთის შეიარაღებულ ძალებში ნატოს ორი უცხოური სამხედრო ბაზაა: მორონის საჰაერო ბაზა (სევილია) და როტას საზღვაო სადგური (კადიზი) (Tapiador,2020, p.435).

თუმცა ამ ყველაფრის მიუხედავად, ქვეყანას საკმაოდ დიდი პოტენციალი აქვს, როგორც ევროკავშირისა და ნატოს წევრს, გაზარდოს მისი შესაძლებლობები იქნება ეს ეკონომიკური, სოციალური თუ სამხედრო თვალსაზრისით.

დასკვნა

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ დღევანდელი ესპანეთი არის ურბანიზებული ქვეყანა, სადაც საზოგადოება დროთა განმავლობაში განვითარდა, როგორც სოციალური, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით. მართალია, სიდიდით მსოფლიოს ქვეყნებს შორის ესპანეთი შედარებით პატარა ქვეყანაა, თუმცა პოტენციალით საკმაოდ დიდია. ესპანეთი, ერთ დროს სამხრეთ ევროპის ღარიბი კუთხიდან, გადაიქცა მდიდარ ქვეყანად, რომელიც უცხოურ სტუმრებს იზიდავს თავისი სოციალური, ბუნებრივი და კულტურული ღირებულებებით.

ქვეყანაში ინფრასტრუქტურის განვითარება და ევროკავშირში გაწევრიანება აისახა მოსახლეობის ცხოვრების დონეზე. შეიცვალა ცხოვრების დონე. როგორც ზემოთ განვიხილე, როგორც ყველა განვითარებული ქვეყნის, მათ შორის ესპანეთის მთავარ პრობლემას დემოგრაფიული კუთხით მოსახლეობის დაბერება წარმოადგენს, თუმცა

ამის მიუხედავად, შობადობის შემცირების გარდა სიკვდილიანობის შემცირებაც მივიღეთ, რაც რა თქმა უნდა მაღალი ჯანდაცვისა და განათლების დონის ზრდითაა შესაძლებელი. ნებისმიერი ქვეყნის განვითარების დონე პირველ რიგში, სწორედ, ამ მონაცემებით ფასდება. რაც უფრო განათლებულია საზოგადოება მით მეტად განვითარებულია ქვეყანაც. განათლება ყველა სოციალური კეთილდღეობის ხერხემალია, რომელიც გვეხმარება წარსული შეცდომების თავიდან აცილებაში, რათა არ მოხდეს იმავე შეცდომის დაშვება. სწორედ, ამ ნაბიჯს მიჰყვება დღეს ესპანეთი, რომელიც დღითიდღე უფრო მეტად ვითარდება.

ესპანეთი ერთ-ერთი მოწინავე ქვეყანაა, სწრაფად მზარდი ეკონომიკით. იმპერიის სიდიადის დაცემის მიუხედავად დღევანდელმა ესპანეთმა ისევ შეძლო ეპოვა გზა წარმატების მიღწევისათვის. დღეს ესპანეთი მშპ-ს მაჩვენებლით, როგორც წინა თავშიც ვახსენე, მსოფლიოში მე-13 ადგილზეა, ხოლო ევროპის ქვეყნებს შორის კი მე-4. ქვეყანაში განვითარებულია ვაჭრობა, საექსპორტოდ გააქვს პირველადი ასევე მეორადი სექტორის პროდუქცია, და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია ხდება ქვეყნის კულტურის, ღირებულებებისა და ტრადიციების ექსპორტი ტურიზმის შედეგად. დღეს ტურიზმი გლობალიზაციის პერიოდში ერთ-ერთ მნიშვნელოვან სექტორს წარმოადგენს, რომელიც ზრდის ქვეყნის პოპულარობას.

შესაბამისად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ კრიზისებისა და წარუმატებლობის მიუხედავად, ქვეყანამ შეძლო ნელ-ნელა მიეღწია კეთილდღეობისათვის, რის შედეგადაც ესპანეთი დღეს წარმოადგენს მისაბაძ მაგალითს დანარჩენი მსოფლიოსათვის.

დანართი

დანართი #1

ესპანეთის მოსახლეობის რაოდენობის ცვლილება (2014-2030)



წყარო:https://www.espon.eu/sites/default/files/attachments/Territorial%20patterns%20and%20relations%20in%20Spain.pdf

დანართი N2

იმიგრაცია ევროკავშირის ქვეყნებში (2021წ.)



წყარო: https://ec.europa.eu/eurostat/databrowser/view/tps00176/default/map?lang=en

დანართი N3

ესპანეთის დემოგრაფიული მაჩვენებლები

მოსახლეობის რაოდენობა (2023) ათასი [60]	მოსახლეობის სიმჭიდროვე კაცი კვ.კმ 2021 [57]	მოსახლეობის ბუნებრივი ზრდის ტემპი 2021 % [57]	მოსახლეობის ზრდა (წლიური %) 2021 [57]	ბუნებრივი მატება (1000 კაცზე გაანგარიშები) 2021 [57]	შობადობის ყოველ 1000 კაცზე გაანგარიშებით 2021 [57]	სიკვდილიანობა ყოველ 1000 კაცზე გაანგარიშებით 2021 [57]	საშუალო ასაკი 2021 [57]	სიცოხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა 2021 [57]
46 754,778	94.53	-0.20	0.1	-2.0	7.55	9.59	43.90	83

დანართი N4

ესპანეთის დემოგრაფიული მაჩვენებლები

სიცოხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა კაცი 2021 [57]	სიცოხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა ქალი 2021 [57]	ფერტილობის კოეფიციენტი 2021 [57]	5 წლამდე ჩვილთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი ყოველ	ურბანიზაციის დონე 2021 % [53]	მიგრაციის წმინდა მაჩვენებელი (1000 კაცზე) 2021 [57]	დამოკიდებულების კოეფიციენტი 2021 % [57]	სამუშაო ძალის მაჩვენებელი (15+ ასაკის მოსახლეობის %)	უმუშევრობის დონე (სამუშაო ძალის %) 2022 [14]

			1000 ცოცხლად დაბადებულ ბავშვზე 2021 (ათასი) [57]				2022 [14]	
80.2	85.8	1.28	3	81	5.8	51.54	58	13

დანართი #5

ესპანეთის ეკონომიკური მაჩვენებლები

მშპ (მიმდინარე აშშ $) მილიონი 2021 [39]	რეალური მშპ ტრილიონი $ 2022 [58]	მშპ-ს ზრდის ტემპი 2021 % [40]	მშპ-ს ზრდის ტემპი ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით 2021 (%) [42]	მშპ PPP მიმდინარე საერთაშორისო $ 2021 ტრილიონი [44]	მშპ PPP მიმდინარე საერთაშორისო $ 2000 ტრილიონი მლრდ [44]	მშპ ერთ სულ მოსახლეზე, PPP 2021 (მიმდინარე საერთაშორისო $) [43]	მშპ ერთ სულ მოსახლეზე, PPP 2000 (მიმდინარე საერთაშორისო $) [43]	პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 2021 მშპ-ს % [38]	ეკონომიკური თავისუფლების იდექსი (ქულა) 2023 [32]

1,427,380.68	1.239	5.5	5	1.93	875.8	40,602.1	21,588.4	3.1	65

დანართი N6

ქვეყნის განვითარების მაჩვენებლები

	ჰუმანური განვითარების ინდექსი 2021 (შეფასება) [56]	ჰუმანური განვითარების ინდექსით ადგილი მსოფლიოში 2021 [56]	ცვლილება წინა (2020) წელთან შედარებით [56]	GNI ერთ სულ მოსახლეზე PPP (მიმდინარე საერთასორისო $) 2021 [45]	გლობალური თავისუფლების ქულა და სტატუსი 2023 [12]	ბედნიერების ინდექსი ადგილი 2022 [54]
ესპანეთი	0.905	27	+0.006	40,810	90/თავისუფალი	29
საფრანგეთი	0.903	28	+0.005	52,160	89/თავისუფალი	20
პორტუგალია	0.866	38	+0.003	35,630	96/თავისუფალი	56

დანართი N7

ქვეყნის განვითარების მაჩვენებლები

	კორუფციის აღქმის ინდექსი 2022 ქულა [55]	პოლიტიკური თავისუფლების ინდექსი 2023 [12]	ვაჭრობის თავისუფლების ინდექსი 2022 [32]	სამოქალაქო თავისუფლება 2023 [12]	ბიზნესის კეთების სიადვილე 2020 ქულა/ადგილი მსოფლიოში [35]	დემოკრადიულობის ინდექსი 2023 ადგილი [28]
ესპანეთი	60	37	82	53	94/30	22
საფრანგეთი	72	38	79	51	96/32	24
პორტუგალია	62	39	79	57	103/39	26

გამოყენებული ლიტერატურა

1. Carreras, A. & Tafunell, X. (2021). Between Empire and Globalization: An Economic History of Modern Spain. UK, London: palgrave macmillan.
2. European Banking Federation. https://www.ebf.eu/spain/
3. European Commision. (15/05/2023). Economic forecast for Spain. https://economy-finance.ec.europa.eu/economic-surveillance-eu-economies/spain/economic-forecast-spain_en
4. European Commision. (09/12/2022). Labour market information: Spain. https://eures.ec.europa.eu/living-and-working/labour-market-information/labour-market-information-spain_en#national-level
5. European Commision. (13 February 2023). Spain: Population: demographic situation, languages and religions. https://eurydice.eacea.ec.europa.eu/national-education-systems/spain/population-demographic-situation-languages-and-religions
6. European Union. Country profiles: Spain. https://european-union.europa.eu/principles-countries-history/country-profiles/spain_en
7. European Union. (2019). Territorial patterns and relations in Spain. https://www.espon.eu/sites/default/files/attachments/Territorial%20patterns%20and%20relations%20in%20Spain.pdf
8. Eurostat. (2023). Immigration. https://ec.europa.eu/eurostat/databrowser/view/tps00176/default/map?lang=en
9. Eurostat. Life expectancy across EU regions in 2020. https://ec.europa.eu/eurostat/web/products-eurostat-news/-/ddn-20220427-1
10. Eurostat. (2021) Total high-tech trade in million euro and as a percentage of total. https://ec.europa.eu/eurostat/databrowser/view/HTEC_TRD_TOT4/default/table?lang=en&category=scitech.htec.htec_eco.htec_eco_trd
11. FocusEconomics. Economic Growth in Spain. https://www.focus-economics.com/country-indicator/spain/gdp/

12. Freedom House. Countries and Territories. https://freedomhouse.org/countries/freedom-world/scores?sort=desc&order=Country
13. ICEX. (2019). Economy in Spain. https://www.investinspain.org/en/why-spain/economy
14. INE. National Statistics Institute of spain. https://www.ine.es/dyngs/INEbase/en/categoria.htm?c=Estadistica_P&cid=1254735976596https://www.ine.es/jaxiT3/Tabla.htm?t=8282
15. La Moncloa. https://www.lamoncloa.gob.es/lang/en/Paginas/index.aspx
16. La Moncloa. (2023.3.21). Foreign investment in Spain reached 34.2 billion in 2022, the second highest figure ever recorded in the historical series. https://www.lamoncloa.gob.es/lang/en/gobierno/news/paginas/2023/20230321_foreign-investment.aspx
17. La Moncloa. Foreign Policy. https://www.lamoncloa.gob.es/lang/en/espana/stpv/spaintoday2015/foreignpolicy/Paginas/index.aspx#oigs
18. Maps Spain. https://maps-spain.com/
19. Mazza, J. (OCTOBER 19, 2022). Spain's Decentralized Immigration System Allows Local Integration Policies to Lead the Way. The Online Journal of Migration Policy Institute. https://www.migrationpolicy.org/article/spain-immigration-integration-multilevel
20. OECD. International Migration Outlook 2021: Spain. https://www.oecd-ilibrary.org/sites/d107a20b-en/index.html?itemId=/content/component/d107a20b-en
21. OECD. (2022) Tourism Trends and Policies: Spain. https://www.oecd-ilibrary.org/sites/fbfbf269-en/index.html?itemId=/content/component/fbfbf269-en
22. OEC. Spain. https://oec.world/en/profile/country/esp
23. Schengenvisa News. (April 19, 2023). Spain Registered Over 6.5 Million International Passengers in March, 30% More Than in 2022. https://www.schengenvisainfo.com/news/spain-registered-over-6-5-million-international-passengers-in-march-30-more-than-in-2022/
24. Spain's International Organization Participation. https://www.globalwps.org/data/ESP/files/list.pdf

25. Spain Convention Bureau. Infrastructure. https://scb.es/en/why-spain/infrastructures/
26. Spain Convention Bureau. Spain, a Global Tourist Power. https://scb.es/en/why-spain/spain-a-global-tourist-power/
27. Tapiador, F. J. (2020). The Geography of Spain: A Complete Synthesis. World Regional Geography Book Serie. Springer. Toledo, Spain: Castilla-La Mancha.
28. The Economist. (2020). Democracy Index: In sickness and in health? A report by The Economist Intelligence Unit. https://www.fundesa.org.gt/content/files/publicaciones/democracy-index-2020_indice_de_democracia_The_Economist.pdf
29. The European Observatory on Health Systems and Policies. Spain. https://eurohealthobservatory.who.int/countries/spain
30. The Global Economy. https://www.theglobaleconomy.com/economies/
31. The Guide to Business in Spain. (2022). Spain: An attractive country for investment. https://www.guidetobusinessinspain.com/en/1-spain-an-attractive-country-for-investment/1-2-2-population-and-human-resources/
32. The Heritage Foundation. (2023). Index of Economic Freedom: Spain. https://www.heritage.org/index/country/spain
33. The World Bank. (2021). Agriculture, forestry, and fishing, value added (% of GDP) – Spain. https://data.worldbank.org/indicator/NV.AGR.TOTL.ZS?locations=ES
34. The World Bank. (2020). Arable land (% of land area) – Spain. https://data.worldbank.org/indicator/AG.LND.ARBL.ZS?end=2020&locations=ES&start=1961&view=chart
35. The World Bank. (2019). Ease of Doing Business rankings. https://archive.doingbusiness.org/en/rankings
36. The World Bank. (2020). Chemicals (% of value added in manufacturing) – Spain. https://data.worldbank.org/indicator/NV.MNF.CHEM.ZS.UN?locations=ES
37. The World Bank. (2020). Food, beverages and tobacco (% of value added in manufacturing) – Spain. https://data.worldbank.org/indicator/NV.MNF.FBTO.ZS.UN?locations=ES

38. The World Bank. (2021). Foreign direct investment, net inflows (% of GDP) – Spain. https://data.worldbank.org/indicator/BX.KLT.DINV.WD.GD.ZS?locations=ES
39. The World Bank. (2021). GDP (current US$) – Spain. https://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.MKTP.CD?locations=ES
40. The World Bank. (2021). GDP growth (annual %) – Spain. https://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.MKTP.KD.ZG?locations=ES
41. The World Bank. (2021). GDP per capita growth (annual %). https://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.PCAP.KD.ZG
42. The World Bank. (2021). GDP per capita growth (annual %)- Spain. https://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.PCAP.KD.ZG?locations=ES
43. The World Bank. (2021). GDP per capita, PPP (current international $). https://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.PCAP.PP.CD
44. The World Bank. (2021). GDP, PPP (current international $). https://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.MKTP.PP.CD
45. The World Bank. (2021). GNI per capita, PPP (current international $). https://data.worldbank.org/indicator/NY.GNP.PCAP.PP.CD
46. The World Bank. Industry (including construction), value added (% of GDP) – Spain. https://data.worldbank.org/indicator/NV.IND.TOTL.ZS?locations=ES
47. The World Bank. (2022). Labor force participation rate, total (% of total population ages 15+) (modeled ILO estimate) – Spain. https://data.worldbank.org/indicator/SL.TLF.CACT.ZS?locations=ES
48. The World Bank. (2020). Literacy rate, adult total (% of people ages 15 and above) – Spain. https://data.worldbank.org/indicator/SE.ADT.LITR.ZS?locations=ES
49. The World Bank. (2020).Machinery and transport equipment (% of value added in manufacturing) – Spain. https://data.worldbank.org/indicator/NV.MNF.MTRN.ZS.UN?locations=ES
50. The World Bank. (2021). Population growth (annual %) – Spain. https://data.worldbank.org/indicator/SP.POP.GROW?locations=ES

51. The World Bank. (2021). Services, value added (% of GDP) – Spain. https://data.worldbank.org/indicator/NV.SRV.TOTL.ZS?locations=ES
52. The World Bank. (2020). Textiles and clothing (% of value added in manufacturing) – Spain. https://data.worldbank.org/indicator/NV.MNF.TXTL.ZS.UN?locations=ES
53. The World Bank. (2021). Urban population (% of total population) – Spain. https://data.worldbank.org/indicator/SP.URB.TOTL.IN.ZS?locations=ES
54. The World Happiness Report. (2022). https://worldhappiness.report/ed/2022/happiness-benevolence-and-trust-during-covid-19-and-beyond/#ranking-of-happiness-2019-2021
55. Transparency International. (2022). Corruption Perceptions Index. https://www.transparency.org/en/cpi/2022
56. United Nation. (2021). Human Development Index (HDI). https://hdr.undp.org/data-center/human-development-index#/indicies/HDI
57. United Nation. World Population Prospects 2022. https://population.un.org/wpp/Download/Standard/MostUsed/
58. World Economic. Spain: REAL GDP. https://www.worldeconomics.com/GrossDomesticProduct/Real-GDP/Spain.aspx
59. World Economic Forum. (May 2022). Travel & Tourism Development Index 2021. https://www3.weforum.org/docs/WEF_Travel_Tourism_Development_2021.pdf?_gl=1*sci6p*_up*MQ..&gclid=Cj0KCQjwmZejBhC_ARIsAGhCqnctpwzdM4Ruy6MzXAqhqMEQT579njYMFWphNyZAPt4cZVDz-21BtrEaAh1FEALw_wcB
60. Worldometer. (2023).Population of Spain. https://www.worldometers.info/world-population/spain-population/